

შპს მოდელების სახლი მატერია
ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ფულადი სახსრები.	13
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	13
7. ძირითადი საშუალებები.	14
8. მოკლევადიანი სესხები	14
9. სავაჭრო ვალდებულებები.	15
10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:	Error! Bookmark not defined.
11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15
12. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	Error! Bookmark not defined.
13. . კომერციული დანახარჯები	16
14. ადმინისტრაციული ხარჯები.	16
15. ფინანსური შემოსავალი.	16
16. ფინანსური დანახარჯები.	17
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	17
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	18

შპს მოდელის სახლი მატერია

ფინანსური ანგარიშგებასაანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით (ლარი)

შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	4	164,811
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,326,024
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	2,600,917
სულ მიმდინარე აქტივები	4,091,752	3,963,425
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	7	3,571,931
არამატერიალური აქტივები		3,154
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,575,084	3,720,736
სულ აქტივები	7,666,836	7,684,161
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხი	8	776,590
სავაჭრო ვალდებულებები	9	1,628,323
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		164,018
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		48,608
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,617,862	3,755,795
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის სესხი	8	3,870,783
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,870,783	2,071,649
სულ ვალდებულებები	6,488,645	5,827,444
საკუთარი კაპიტალი		
რეზერვი		
სააქციო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	2,000	2,000
სულ საკუთარი კაპიტალი	1,176,191	1,854,717
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,178,191	1,856,717
	7,666,836	7,684,161

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მირიან ქოიავა

მთ. ბუღალტერი

სოფო ჩიხლაძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მოდელის სახლი მატერია

ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	10	7,207,839
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება		(4,222,287)
საერთო მოგება		2,985,553
სხვა შემოსავალი		-
კომერციული დანახარჯები	11	(48,912)
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(3,204,447)
დადებითი საკურსო სხვაობა		30,382
ფინანსური შემოსავალი	13	7,970
უარყოფითი საკურსო სხვაობა		(57,499)
ფინანსური დანახარჯები	14	(391,573)
მოგება დაბეგვრამდე		(678,526)
მიმდინარე წლის მოგება		(678,526)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მირიან ქოიავა

მთ. ბუღალტერი

სოფიკო ჩიხლაძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მოდელის სახლი მატერია

ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	2,000	1,854,717	-	1,856,717
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი ხრული შემოსავალი	-	(678,526)	-	(678,526)
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	2,000	1,176,191	-	1,178,191


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



მირიან ქოიავა

მთ. ბუღალტერი



სოფიკო ჩიხლაძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მოდელების სახლი მატერია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „მოდელების სახლი მატერია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2005 წლის 01 თებერვალი კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204470027, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისის ძველი თბილისის რაიონში, ლესელიძის ქ N 22 . კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის ძირითადი მეწილეები არიან:

მირიან ქოიავა (პ.ნ 01024023382)-50%

გიორგი ქოიავა (პ.ნ.01008015438)-50%

კომპანიის დირექტორია მირიან ქოიავა (პ.ნ.01024023382)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: ტანსაცმლის კერვა, საკუთარი არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი საწარმოები, არ ჰყავს მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად, თუ კომპანია შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს, საწარმოს მიერ წარდგენილი ფინანსური

შპს მოდელების სახლი მატერია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ანგარიშგებასულ მცირე უნდა მოიცავდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2018 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. ამასთან, საწარმოს შეუძლია ფულადი ნაკადების ანგარიშგების ნებაყოფლობით წარდგენა. კომპანია იყენებს აღნიშნულ შეღავათს და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მის ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მის ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსურიაქტივისა და ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველ საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგისი დიდი ნაწილის ღირებულებას:

(ა) თანხა,
რომლითაც ფინანსურიაქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველად აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის და საფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა,
რომელიც მიიღება ექსპერტის აპროცენტო განაკვეთის
მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და
დასაფარო თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსურიაქტივის შემთხვევაში,
გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ,
ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით). (პირდაპირ,

ფინანსურიაქტივები და ფინანსური ვალდებულებები,
რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური აპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული
არ არის ისეთ თანხებთან,

რომელიც ფინანსური ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება,

როგორც მოკლევადიანი აქტივები

ან მოკლევადიანი ვალდებულებები,

შპს მოდელების სახლი მატერია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათეარვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტურისაპროცენტოგანაკვეთისმეთოდისფინანსური აქტივისანფინანსურივალდებულების (ანფინანსური აქტივების, ანფინანსურივალდებულებებისჯგუფის) ამორტიზებული ღირებულებისგამოთვლისადასაპროცენტოშემოსავლებისან ხარჯებისშესაბამისპერიოდზემიკუთვნებისმეთოდი. ეფექტური საპროცენტოგანაკვეთისგანაკვეთი, რომლისმეშვეობით ფინანსურიინსტრუმენტისმოსალოდნელივადისან, როდესაც შესაფერისია, უფრომოკლევადისგანმავლობაშიმისაღებიაანგადასახდელისავარაუდოფულადისახსრებიზუსტადდისკონტირდებაფინანსური აქტივისანფინანსურივალდებულების წმინდასაბალანსოღირებულებამდე.

ეფექტურისაპროცენტოგანაკვეთიუნდაგანისაზღვროსფინანსური აქტივისანფინანსურივალდებულებისსაბალანსოღირებულებაზედაყრდნობით, რომელიცმასგააჩნისაწყისიაღირებისას. ეფექტურისაპროცენტოგანაკვეთისმეთოდისმიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადისახსრებისდღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურისაპროცენტოგანაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტურისაპროცენტოგანაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება

სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივებისათვის გარდა შენობების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) შენობები შეფასებულია რეალური ღირებულებით მსს გასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, აფასების სხვაობაზე დარიცხული ცვეთა სააგანგარისგებო პერიოდის ბოლოს გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი

საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა დანადგარები - 5 წელი;

ძაღოვანი მოწყობილობები - 10 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-7 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება 10%-ით;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

შპს მოდელის სახლი მატერია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

შპს მოდელების სახლი მატერია
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
 (ლარი)

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;
 1 EUR=2.9940 ლარი.
 2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;
 1 EUR=2.8596 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

ნაღდი ფული ლარებში

ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე

უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში

სულ

2018	2017
27,148	22,421
135,549	79,686
2,114	1,106
164,811	103,214

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები

სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

წინასწარ გადახდილი გადასახადი

სულ

2018	2017
512,117	858,385
206,370	86,523
540,471	8,629
67,067	142,959
1,326,024	1,096,496

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

შპს მოდელის სახლი მატერია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარიში)

	2018	2017
საქონელი	62,577	57,557
ნედლეული	2,474,101	2,397,029
მზა პროდუქცია	64,239	309,129
სულ	2,600,917	2,763,715

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილ ობა	სატრანსპორტო საშუალებები	მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	529,011	2,122,530	1,487,953	183,000	19,798	54,344	4,396,635
შემოსვლა			182,808	12,018	7,981	3,900	206,707
გასვლა							-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	529,011	2,122,530	1,670,761	195,017	27,778	58,244	4,603,342
დაგროვილი ცვეთა							
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	-	(99,297)	(473,681)	(62,505)	(19,798)	(24,178)	(679,458)
ცვეთის ხარჯი	-	(84,901)	(203,133)	(36,314)	(1,064)	(26,541)	(351,953)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა							-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	(184,198)	(676,813)	(98,819)	(20,862)	(50,719)	(1,031,411)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	529,011	2,023,233	1,014,272	120,495	-	30,166	3,717,177
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	529,011	1,938,332	993,948	96,198	6,917	7,526	3,571,931

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

8. მოკლევადიანი სესხები

2018 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება:

შპს მოდელის სახლი მატერია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

კონტრაგენტი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	მოკლევადიანი რბელვადიანი		მოკლევადიანი გრძელვადიანი	
			31.12.2018	31.12.2018	01.01.2018	01.01.2018
სს საქართველოს ბანკი	13%	ლარი			954,599	2,071,649
სს პაშა ბანკი	13%	ლარი	582,217	3,870,783		
სხვა არაფინანსური კორპორაცია		ლარი	194,373		389,730	
სულ			776,590	3,870,783	1,344,329	2,071,649

9. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	31.12.2018	01.01.2018
კრედიტორული დავალიანება რეზიდენტი კომპანიებთან	182,580	402,802
კრედიტორული დავალიანება არარეზიდენტ კომპანიებთან	888,739	836,824
მიღებული ავანსები	557,004	921,474
სულ	1,628,323	2,161,099

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

10. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2018
შემოსავალი ექსპორტიდან	390,459
შემოსავალი აგილობრივი ბაზრიდან	6,817,381
სულ	7,207,839

შპს მოდელების სახლი მატერია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

11. კომერციული დანახარჯები

კომპანიის 2018 წლის კომერციული დანახარჯები შედგება:

	2018
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი	23,890
მიწოდების სხვა ხარჯი	25,023
სულ	48,912

12. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2018 წლის ადმინისტრაციული დანახარჯი შედგება:

	2018
შრომის ანაზღაურება	2,344,065
საიჯარო ქირა	84,997
კომუნალური ხარჯი	121,029
საოფისე ხარჯი	36,763
საბანკო ხარჯი	77,839
ქონების დაზღვევა	18,648
საკონსულტაციო ხარჯები	69,346
ცვეთა და ამორტიზაცია	352,361
სხვა საერთო ადმინისტრ. ხარჯი	99,398
სულ	3,204,447

13. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

	2018
საპროცენტო შემოსავალი	3,357
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4,614
სულ	7,970

შპს მოდელის სახლი მატერია
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

14. ფინანსური დანახარჯები.

კომპანიის 2018 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

	2018
საპროცენტო ხარჯები	337,945
საგადასახადო საურავები	1,289
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	52,340
სულ	391,573

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

განხორციელებული ოპერაციები დირექტორთან და პარტნიორებთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
ხელფასი და სხვა სარგებელი	(11,070)	-
აღებული სესხი	(105,084)	-
სულ	(116,154)	-

განხორციელებული ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	(3,815,273)	(233,233)
აღებული სესხი	(546,215)	(136,904)
საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცია	6,955,164	(217,849)
სულ	2,593,676	(135,999)

აღნიშნული ოპერაციები განხორციელებულია იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარესთან.

შპს მოდელების სახლი მატერია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 სექტემბერს.